ეროვნული ბიბლიოთეკა


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა ივლისის თთვის 12 რიცხვიდამ მიიღება განცხადება იმათგან, ვისაც ქალაქს **ბათუმში** მამულების დაგირავებით სესხის გატანა ჰსურთ. ამ განცხადებათა მისაღებად ბათუმს მიდის ბანკის დირექტორი. (3—90—3)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ დედოფლის წყაროში შეკრებილი 16 მანათი თ. ბარათაშვილის სახელობაზე დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 137 მან. 10 კაპ., ამიანად შესდგა 153 მან. 10 კაპ.

*** გუშინდელის დღიდგან ავჭალის ქუჩაზე ცხენის რკინის გზის ვაგონებმა შუადამის პირველ საათამდე დაიწყო სიარული საფოსტო და სახალხო მატარებლის ბაქნამდე გამგზავრებამდე.

*** ტფილისის რამდენსამე მცხოვრებს განუზრახავს დაარსება ჩვენს ქალაქში იმ გვარის დაწესებულებისა, როგორც პეტერბურგში უმაღლესი საქალებო კურსებია. ამ ჟამად უკვე ადგენენ წესდებას ამ დაწესებულებისას და ამ მოკლე ხანში წესდებასა და თხოვნას წარუდგენენ კიდეც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დასამტკიცებლად.

*** ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ სამღვდელოთა შვილები სილარიბისა გამო ვერსადა სწავლობენ, ვერა-რაიმე ცოდნას ვერ იძენენ, ან სასწავლებელს სრულად ვერ ათავებენ და ამიტომ, განსაკუთრებით დაობლებას შემდეგ, მთელის ოჯახითურთ დიდს გაჭირვებაში სცვივიან და სალსარი აღა-რა აქვთ საცხოვრებლად. ამ გარემოებას უწმინდესმა სინოდმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და უბრძანა საეპარქიო მთავრობათ, ყველგან დააარსეთ საეპარქიო სახელოსნო სასწავლებლები ეკკლესიისა და მღვდელ-მოსამსახურეთა შვილებისათვის, რომ იქ შეძენილმა ცოდნა-ხელობამ იგინი უზრუნველ ჰყოს და შეძლება მისცეს პატიოსანის შრომით ცხოვრებისაო. ამ განზრახულს სასწავლებლებში შემდეგი სხვა-და-სხვა ხელობა უნდა ასწავლონ ყმაწვილებს: წიგნების კაზმვა, მეჩექმეობა, თერძობა და დურგლობა. მოსწავლემ სამი წელიწადი უნდა დაჰყოს სკოლაში: პირველს წელს არავითარს ჯილდოს არ მისცემენ შრომისას, ხოლო მეორე წელი-კი, როცა ცოტაოდნად შეისწავლის ხელობას, მიეცემა ერთი მესამედი იმ ფულისა, რა ფასადაც იმისი გაკეთებული ნივთები გაიყიდება. ამ ფულს სკოლის გამგეობა შეინახავს რომელსამე დაწესებულებაში და, როცა მოსწავლე სასწავლებელს დაამთავრებს, მაშინ ერთბაშად მისცემს სარგებლითურთ. თუ ყმაწვილი ცუდის ყოფაქცევისა გამო დათხოვნილ იქნება სასწავლებლიდგან, უფლება ეკარგება, რომ თავისი ხვედრი ფული მიიღოს.

ხსენებულს სახელოსნო სასწავლებლებში სწავლება ამ რიგად იქნება: დღეში მოსწავლეებმა ორი საათი სხვა-და-სხვა საგანთა შესწავლას უნდა მოანდომონ, ხოლო დანარჩენი დრო-კი, გარდა სადილის ჭამისა და დასვენებისა, ხელობათა შესწავლასა და მუშაობას.

*** ტფილისის სომეხთა ეპარქიის უმფროსის ეპისკოპოსის მამბრეს ბრძანებით, სიღნაღის სომეხთა სასწავლებლიდგან დათხოვნილ იქმნენ ოთხი მასწავლებელი (ექვსთაგანი), რადგანაც მათ არ მიუღიათ კავკასიის ოლქის სწავლა-განათლების მზრუნველი ტაინი სოვეტნიკი კ. პ. იანოვსკი.

*** იერუსალიმიდგან იაფფის გზაზედ მიმავალს მლოცავებს თავს დასხმია ბედუინ ავაზაკთა დასი და გაუძარცვავთ. ამ მლოცავთა შორის ყოფილა ორი კავკასიელიც—ერთი ქართველი სუმბათაშვილი, რომელიც ავაზაკებს დაუჭრიათ მარჯვენა მხარში, და ანანიანი (ერევნელი), რომელიც გაძარცვის დროს ძლიერ მძიმედ დაუჭრიათ—თავსა, ზურგსა და ფეხში.

*** გუშინდელს ნომერში ჩვენის გაზეთისა მოხსენებული იყო, რომ რკინის გზის მატარებლის ქვეშ ჩავარდა ვიღაცა კაცი, რომელიც მატარებელმა შუაზე გადასჭრაო. როგორც პოლიციამ აღმოაჩინა, ეს კაცი პირველ არტილერიის ბატარიის ფერშალი სილიბისტრო ვეხიჭანინი ყოფილა.

*** ჩვენ მივიღეთ № 3—4 კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ჟურნალისა. ამ ნომერში მოთავსებულია ოთხი წერილი სამეურნეო საგანთა შესახებ და სხვათა შორის საყურადღებო წერილი ვ. სტაროსელსკისა „ფილოქსერა“ და ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოქმედებისა 1890 წ.

*** როგორც ცხინვალიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, ამ ივნისის რვას იქ დიდი წვიმა და ქარი ყოფილა. წვიმას, რომელიც ეხლა საჭირო იყო ვენახებისა და სიმინდებისათვის, თან მოჰყოლია დიდი კაკლის სიმსხო სეტყვა და ძალაზედ დაუსეტყვავს ცხინვალის ახლო-მახლო მდებარე სოფლები და ამ სახით გაუოხრებ-გაუფუჭებია: ვენახები, ხილეულობა, ყანები და სიმინდები, რომელსაც ქუჩუჩო ახალი დაულვაშებული ჰქონდა. ზარალი ძლიერ დიდი მოსვლიათ გლეხებს.

*** საჩივრის გამოცხადება ადვილად ვიცით ხოლმე და როცა თვით ჩვენზე მოვარდება საქმე, მაშინ...მაშინ, ნურას უკაცრაოდ, თუნდაც ბუკით ჩაგვძახონ, ყურსაც არ გავიბერტყავთ.

აბა, რამდენს ვჩივით, ესა-ეს ქუჩა არ ვარგა, შეკეთება უნდაო, ამა-და-ამ ტროტრუაზედ კაცი ისე ვერ გაივლის, თავ-პირი არ დაიმსხვრიოსო, და სხვა. მოინდომებენ თუ არა დახმარებას, აბა, დაგვეხმარეთ და საქმე გავაკეთოთო, იტყვიან თუ არა—შენც არ მომიკვდე, იმავე წამს მიიმალებინ. ესევე ემართება მიხეილის ქუჩაზედ მცხოვრებელთ. ამ ბოლოს დროს ამ ქუჩაზედ კაცს ისე არ გაევლება, თუ ცხვირი არ დაიცოს: ამ ქუჩის არხები ავსებით სავსეა ყოველის სიბინძურითა. ამას გარდა ყოველ წვიმიანობის დროს არხები ივსება, წყალი გუბდება, ყროლდება და ჰაერს აფუჭებს.

ტროტუარებიც ამ ქუჩაზედ, შენი მტერია, რას წარმოადგენს; მუდამ თვალს უნდა აფაცეცებდე, რა არის—ფეხი არ წავკრა ხშირად აქ-იქ ამობურთულს ქვას. საზაფხულო კრუჟოკისაკენ რომ ქუჩა მიდის—კიროჩნისას ეძახიან, ამ ქუჩის შეკეთება უნდათ რამდენი ხანია, მაგრამ ერთი მემამულე ბ-ნი ბემლერი გაჯიუტე-

## ფელეტონი

### თამასუქი

(მოთხრობა დე-ლეპინესი)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 141)

### თავი V

თამასუქი

ჯერ ეს პასუხი არ დაესრულებინა ფრანცს, რომ ტიურპენი საჩქაროდ წამოხტა, მიუახლოვდა ფრანცსა და უთხრა:

— დიდს პატივსა გცემთ, ყმაწვილო, თქვენის გულ-ახდილობისათვის და ამის დასამტკიცებლად ერთი რამ მინდა გითავაზოთ.

— უთუოდ ოცს ფრანკს შეაძლევს გრაფინიას სურათშიო, იფიქრა ლამბერმა: თუმცა ისიც-კია, რომ სურათი უჩარჩოა.

ხელ-ახლად მიუახლოვდა ტიურპენი გრაფინიას სურათს.

— მე მომყიდეთ ეს სურათი!

— ჩემი აღარ გახლავთ.

— განა იყიდა კიდეც ვინმე?

— არა, მაგრამ...

— ჰო, აგრე თუ არის, დიდი დანაშაულობა არა იქნება-რა, რომ გაყიდოთ, თავს დაიხსნით გაჭირვებიდგან.

— როგორ მერე? გაკვირვებით იკითხა ფრანცმა.

— როგორა და ისე, რომ ოც-და-ხუთს ათასს ფრანკს მოგცემთ ამ სურათში.

— რასა ბრძანებო! შეჰყვირა ფრანცმა: მაგ ფასის მეოთხედადაც არა ღირს!

— ჰო, ეგ გემოვნებაზეა დამოკიდებული.

— ღმერთს გეფიცებით... არ ვიცი, ამბობდა ფრანცი და ისე იდგა, რომ არ იცოდა, რა ექნა; ერთის მხრით უნდოდა კიდეც ამდენის ფულის მიღება და მეორეს მხრით ჰგრძნობდა კიდეც, რომ თუ დაჰყაბულდებოდა ტიურპენს, იმისი საქციელი მოსაწონი არ იქნებოდა.

— ოც-და-ხუთი ათასი ფრანკი!? და ისიც სურათი უჩარჩო!? ყოყმანობ კიდეც?! შეჰყვირა ლამბერმა.

ფრანცი ჩუმად იყო.

— ახლა? თანახმა ხართ? მეორედ ჰკითხა ტიურპენმა.

— ან დათანხმდი, ან ჯვარი დაიწერე! გადასწყვიტა ლამბერმა.

— ჰმ... როდის მივიღებ მაგ ოც-და-ხუთს ათასს ფრანკს? აკანკალებულის ხმით იკითხა ფრანცმა.

— ამ წუთსავე, სთქვა ვაჭარმა: გეფიცებით, რომ ამ სურათს მე არავის არ დავუთმობ!

ფრანცმა შუბლზედ ხელი გადისვა; ცივმა ოფლმა დაასხა; მერე დიდის დანანებით, დიდის მწუხარებით დააცქერდა ელენეს სურათს და ამოოხვრით წარმოსთქვა:

— ეჰ... რა გაეწყობა! ალბად ეს არის ჩემი ბედის-წერა... მე თავისუფლება მინდა და ამიტომაც... თანახმა ვარ!

ტიურპენმა იმ წამსვე უბიდგან ძველი ტყავის ქისა ამოიღო, ბანკის ბილეთებით სავსე.

— აი! შეჰყვირა ტიურპენმა: ვიპოვნე! იმედი მაქვს, ბატონო შტეინბერგ, რომ თქვენს ხელს იცნობთ, და გადასცა ფრანცს რაღაც ქაღალდი. ლამბერი მივარდა ამხანაგს, რომ შეეხედნა, როგორც ამბობდა, პირველად თავისს სიცოცხლეში ამდენი ერთად მოგროვილი ფულისთვის.

მაგრამ როცა ამ ორმა ყმაწვილმა კაცმა ქაღალდს შეჰხედეს, ორივენი დიდის გაკვირვებითა და გაოცებით უცებ შეჩერდნენ: ფრანცს ხელში ეჭირა ის თავისი თამასუქი, რომელიც ბანკის პატრონს ბურმანს მისცა, გრაფინა ელენე დე-რეველის ბარათის ძალით.

ამასობაში ტიურპენმა დამშვიდებით დაჰკეცა თავისი ქისა და ბანკის ბილეთი და მიუბრუნდა ლამბერს: ეს არის ეხლავე მივდივარ ტიურპენ, მუანიშონ და ამხანაგობასთან იმის სათხოვნელად, რომ დაგიბრუნონ თქვენი ჩარჩო... ნახვამდის, ბატონებო!

ტიურპენი გავიდა.

ამხანაგებმა ერთი-ერთმანეთს შეჰხედეს.

— გენერალიაო! დაიძახეს ორივემ ერთ-ხმად.

კარი, რომელშიაც ის იყო ტიურპენი გავიდა, ამანვე შემოაღო ცოტა და შემოჰყო ოთახში თავი.

— მართალია, ბატონო შტეინბერგ, ტკბილისა და ცბიერის ხმითა სთქვა: დამავიწყდა, მეთქვა თქვენთვის, რომ მაგ სურათის წამოსაღებად ბიჭს გამოგიგზავნით შუა-დღისას...

ეს უკანასკნელი ორი სიტყვა მეტის-მეტად გარკვევითა სთქვა.

ფრანცი და ლამბერი ჩუმად სულგაკმენდილნი ისხდნენ, ვიდრე კიბიდგან მიესმოდათ ფეხის ხმა ამ კაცისა, რომელიც ძალიან დინჯად ჩადიოდა.

— ჰმ... ბოროტო! შეჰყვირა ლამბერმა და დააცქერდა თავისს ამხანაგს, რომელიც გაქვავებული იჯდა სკამზე.

— თავისი ძველი ხელობა კიდევ არ დაავიწყდა წყეულს?.. მოვალეობისაგან დაგიხსნა!

### თავი VI

მეგობრის მუსაიფი

ზემოდ მოყვანილ ამბის რამდენი-

ბულა და, არ იქნა, ვერ გააკეთებინეს ტროტუარი და გამვლელ-გამომვლელი დღე-მუდამ გვერდს ახვევით თუ მოუვლის მიხეილის ქუჩიდგან კიროჩნის ქუჩისაკენ, თორემ სხვა ნაირად შეუძლებელია. მოდი და უსაყვადურე ამას შემდეგ ქალაქს, ყურადღებას არ გვაქცევენო.

*** ერთს ფოტოგრაფიის ხელობის მოყვარეს, გვარად კოლომეიცს. ერთ გვარი მანქანა მოუგონია, რომლითაც შეიძლება წყალში სურათების გადაღება. ამ მოკლე ხანში კოლომეიცი მოსკოვს მიემგზავრება, რომ იქაურს სატეხნიკო საზოგადოებას აჩვენოს და აუხსნას ხმარება და მნიშვნელობა თავის მიერ მოგონილის მანქანისა.

*** კოტე ყიფიანმა თავისს სოფელს ქვიშხეთში ერთს-ერთს დიდს ხის შენობაში ადგილობრივს ყმაწვილს კაცებს გაუმართა თეატრი წასულს თიბათვეში. ყმაწვილ-კაცებმა ციმაკურიძეებმა, ყიფიანის ორმა ქალმა, გელიკურაშვილმა და კიკნაძემ მშვენიერად წარმოადგინეს ა. მოჩხუბარიძის დრამა „არსენა“. გლეხ-კაცობა ბევრი დაესწრო ამ წარმოდგენაზედ, მეტად მოეწონა დრამის შინაარსი და კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით. როგორც შევიტყეთ, ისეთ რიგად წარმოადგინეს თურმე ეს დრამა, რომ ტფილისის სცენაზედაც-კი იშვიათად წარმოუდგენიათ ამ რიგად. თუმცა რეჟისორის ხელი სრულიად არ ეტყობოდა და არც-არავინ უსწორებდა როლების ასრულებას, მაგრამ მაინც-კი ისეთი ნიჭი გამოიჩინა ზოგმა წარმომდგენელთაგანმა, რომ სამუდამოდ ქართულს სცენაზედ რომ იყვნენ მიღებულნი, სწორედ კარგი შეძენა იქნებოდა თეატრისათვის.

*** გორი. 9 ივნისს შუაღამისას შიგ გორში, დიდს ქუჩაზედ, ისეთი საშინელი თოფის სროლა ასტყდა და ხმაურობა მოისმა, რომ მძინარე ხალხი სულ ზეზედ წამოვცვივდით და პატარა ყმაწვილებმა ტირილი და ჟივილ-ხივილი შექმნეს; გვეგონა, ეს არის ან ავაზაკები დაგვესხენ და ან ლეკები შემოგვიცვივდნენო. მერე ისეთი ხმა ისმოდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. წარმოიდგინეთ ჩვენი დაქვეითება, რომ შიგ შუა ქალაქში შუაღამისას, როცა გულის ძილში ვართ, მაშინ ამისთანა ამბები ხდება. დილა რომ გათენდა, მაზრის უმფროსი შეუდგა გამოძიებას და ეძებდა, ვინ ისროდნენ წუხელის თოფებსაო. აბა სწორედ ამასა ჰქვიან მყუდროდ ცხოვრება.

*** სოფ. მაღარო. აგერ თითქმის ორი თვე შესრულდება, რაც ჩვენსკენ რიგიანი წვიმა არ მოსულა. უწვიმობის მსხვერპლი გახდა მთელი გაზაფხულის მოსავალი. შემოდგომის მოსავალი, თუმცა ზავი იყო, მაინც ძალიან გამაძღარია და გამოსავალიც რიგიანი აქვს.

*** იქიდამვე: ამ ერთის კვირის წინად ჩვენში დიდი სამწუხარო ამბავი მოხდა: სოფელ მაღაროელების კალოების ახლოს დასახლებულნი არიან მალაკნები, რომლებიც დიდძალს ხვნა-თესვას მისდევენ. იქნებოდა ასე ნაშუადღევის სამი საათი, როდესაც მალაკნების სოფელს ახლოს მინდორს ცეცხლი გაუჩნდა. მალაკნები სულ სამუშაოდ იყვნენ დაფანტულები. დაინახა თუ არა ჩვენმა ხალხმა ცეცხლი მინდორში, დიდად შეშინდა, რადგან ქარი დასავლეთიდგან ჰქროდა და ცეცხლი ჩვენის მინდვრისკენ იწევდა. შეიქნა წივილ-კივილით. დაიწყეს მამასახლისის ძებნა. მამასახლისი ამ დროს კალოებიდან მაღაროსკენ მიდიოდა. დაინახა თუ არა ცეცხლი, მაშინვე მოვარდა ხალხში და შემოიძახა: აბა, ბიჭებო არიქათ, ვიღუპებითო. ხალხი გამხნევდა და მიეშურა ცეცხლისაკენ ზოგი ცელით, ზოგი ბარით და ზოგიც ნიჩბით. ორი სამი საათი მოვუნდით ცეცხლთან ბრძოლას, მაგრამ მაინც ას დღიურამდე მინდორი დაიწვა სამალაკნო. მეორე დღეს ჩამობრძანდა სიღნაღიდან ბოქაულიც. მალაკნებმა ერთხმად გამოუცხადეს მადლობა მაღაროს მამასახლისს და სთხოვეს ბოქაულს, რომ იგი წარადგინოს ჯილდოზედ, რადგან თუ არ მამასახლისი მაღაროელი, სულ დავიმშეოდითო. ბოქაულიც დაჰპირდათ. ზარალი ასი ურემი სულადი შეადგინესო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ იუწყება. რომ ა. გრ—ძე რუბინტეინი აპირებს ჩვენს ქალაქში ერთის კონცერტის გამართვას საოპერო თეატრში მომავალ მარიამობისთვის შუა რიცხვებშიო. ადგილის ფასი ერთი ორად მეტი იქნება დანიშნული და მთელი შემოსავალი კონცერტისა ტფილისის სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ იქნება გადადებულიო.

ერთის კვირის წინად კონცერტამდე გამოაცხადებენ ბილეთებზედ ხელის მოწერასა.

*** ივლისის 10 რიცხვზე ალექსანდრე სომოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ დაუკეტავის კამოდიდგან 526 მან. ნივთეული მომპარესო. ეჭვი თავისს სიდედრს ეკატერინე კაპოჩკინზე გამოაცხადა-

*** ამავე დღეს ივან რომანოვმა ჩხუბის დროს სამართებლით დასჭრა ნიკოლოზ კლუსოვი.

*** 10 ივლისს ციციანოვის აღმართში კლდის ქვა მოსკდა და თან ჩამოიყოლია ას ფუთამდე მიწა. უბედურება არა მომხდა-რა.

### არჩილური შვიდ-თავი,

(საამდროო ამიცანები)

—

იწყება ამ დროს მწერლობა ამის აკვანში რწებითა,
ვერ შეხვდენ თუმცა მაშინაც ახალ მწერალნი ქებითა,
არ ზოგეს მისი გულ-წრფელი ნაცადი მათრახებითა,
ნაღვლად გადექცა იმედი „ცისკრისა“ გათენებითა,
ემთხვია სხვაცა ავდარი, მწვიმარი დაბ[illegible]კალებითა,
სამართალია, ვმადლობდეთ წინაპრულითა მცნებითა.

### დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ხონი. ზაფხულობით ხონში დიდ-ძალი ნასწავლი ყმაწვილი კაცობა იყრის თავს და ნეტა ეს ბევრის მოლაპარაკენი ცოტა რასმე მოაგვარებდნენ. მაგალითებრ, ვინ იტყვის, რომ ხონისთვის სასარგებლო არ იყოს საჯარო წიგნთ-საცავი? როგორც გამიგონია, აქ კიდეც გაუმართავთ წარსულს ზაფხულში ამ საქმის სასარგებლოდ რაღაცა წარმოდგენა, რომლიდგანაც ცოტა გროშებიც დარჩენილა. კარგი იქნებოდა, ვისაც ეს საქმე უთავნია და ის გროშებიც აბარია, ბარემ დაამთავრებდეს ამ პატარა, მაგრამ დიდ-მნიშვნელოვანს საქმეს. ეს იმისთანა ძნელი საქმე არ არის, რომ იმის შესრულებისათვის წელიწადები იყოს საჭირო. თითოეულმა ამ საქმის თანამგრძნობელმა, რომ გამოიმეტოს, რაც სახლში მეტი, უსაჭირო წიგნები უწყვია და ცოტა ფულიც დაადოს, ბიბლიოთეკა დაარსებული იქნება.

წრეულს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა ორმა ხონელმა ყმაწვილმა. ერთს მათგანს ბიძა აძლევს საშუალებას სწავლის განსაგრძობად, მეორეს-კი არავინ არა ჰყავს და ამიტომ საჭიროა, თვით ხონელებმა აღმოუჩინონ შემწეობა, მით უფრო, რომ ეს ყმაწვილი კარგი მეცადინეა და კარგადა სწავლობს.

დიდად საჭირო და სასარგებლოა, რომ ხონში სამეურნეო სასწავლებელი დაარსდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საჭირო და სასარგებლო საქმისათვის ხონში ყოველთვის მოიძებნება საშუალება, თუკი სურვილი იქმნა.

ვინ იტყვის, რომ სიქალებო სასწავლებელიც სასარგებლო და საჭირო არ იყოს ხონელებისათვის. საჭიროა და დიდად საჭიროც. აქ ჰქონდა კიდეც ბ-ნს ივ. ს. შარვაშიძეს ორ-კლასიანი სასწავლებელი ქალებისათვის, მაგრამ შემდეგ შეუძლებლობის გამო, რაკი დახმარება არსაიდგან აღმოუჩნდა, მეორე კლასი გააუქმა და ეხლა ძლივს მიაღონღიალებს ერთ-კლასიანს სასწავლებელს. ამისათვისაც დიდი დიდი მადლობა ეთქმის, რადგან უიმისოდ ხონის პატარა ქალები მოკლებულნი იქნებოდნენ წერა-კითხვის შესწავლის საშუალებას. ეხლა ხაზინა აძლევს ხონის საზოგადოებას ქალაქის შუა ადგილას თავისუფალს მიწას, თუ ხონის საზოგადოება იკისრებს აქ ორ-კლასიან საქალებო სასწავლებლის გამართვასა და შენახვას. კარგი იქნება, აწინდელის სასწავლებლის პატრონიც დაიხმარონ ამ საქმეში. მით უფრო, რომ ბ-ნი ივ. შარვაშიძე დიდს ხანს ვერ შესძლებს კიდევ თავის სასწავლებლის შენახვას და რომ შესძლოს კიდეც, მისი ეხლანდელი სასწავლებელი სრულად ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.

დიდად საჭიროა ხონელებისთვის მდინარე და რა მარტო ხონისთვის: ივანდიდი, ჯიხაიში, იანეთი და ბევრი სხვა სოფელი დიდს გაჭირვებაშია უწყლობის გამო. თუ ხონში გამოივლის მდინარე, თქმა არ უნდა, ამ სოფლებსაც მორწყავს და ბევრს სხვასაც, სანამ რიონს შეერთვოდეს. ხონის საზოგადოებამ დიდი ხანია იგრძნო ეს საჭიროება. სულ უკანასკნელად ხონის საზოგადოებამ ათს კაცს მიანდო ამ საქმისათვის ზრუნვა და მეცადინეობა და კიდეც იკისრეს საჭირო ფულის გარდახდა, თუ ესენი რაიმე საშუალებით მოახერხებენ წყლის გამოყვანას. ამას გარდა, ჯიხაიში და სხვა სოფლებიც შეჰპირდნენ შემწეობას.

ბევრის ცდისა, შრომისა და დავიდარაბის შემდეგ, ამ ათმა ამორჩეულმა კაცმა სოფელს მანთხოჯში მცხოვრებლებს, რომელთაც უჭირავთ სათავე წყლისა, პირობა ჩამოართვა ნოტარიუსის წესით, რომლის ძალითაც ისინი უთმობენ ხონელებს წყლის გამოსაყვანად საჭირო ადგილებს თავიანთს საყანეებში აღნიშნულის სასყიდლით. ამით ეს რთული საქმე თითქმის შესრულებულია, რადგან ეს იყო უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ მანთხოჯელები არ აძლევდნენ წყალს. ეხლა, რაკი ამ მხრით მორიგდა საქმე, იმედია, დამთავრდება კიდეც და ასე უსრულად არ დასტოვებენ საზოგადოების მიერ ამორჩეულნი და ამ საქმის განსახორციელებლადა და დასამთავრებლად მოწოდებულნი.

მ. პ. სანაძე

### ბათუმი და მისი აწინდელი მდგომარეობა

(იხ. „ივერია“ № 145. დასასრული)

ეროვნულად ბათუმის მკვიდრნი განიყოფებიან უმთავრესად:

---

სამე საათის შემდეგ გრაფინია ელენე დე-რეველი შევიდა თავისს ოთახში, რომელიც სავსე იყო სხვა-და-სხვა ნაირის ბოხჩებითა, ყუთებითა და კოლოფებით, და სწრაფად ტანთ-ჩაცმა დაიწყო. გრაფინიას მეტის-მეტი აღელვება და მოუთმენლობა ეტყობოდა და თუმცა ხანდახან იმისს სახეს ბედნიერი და კმაყოფილი შუქი გადაჰკრავდა ხოლმე, მაგრამ მაინც სჩანდა, რომ რაღაც მძიმე ფიქრი აწუხებდა.

მოახლე როზა თავს ადგა, ქალბატონის ბრძანებას ასრულებდა, მაგრამ ხშირად-კი მოუთმენლად საათს გადაჰყურებდა.

კარების ფრთხილი რახუნი მოისმა.

— ვინ უნდა იყოს? უკმაყოფილოდ წამოიძახა ელენემ: ხომ ნაბრძანებია, რომ არავინ მიიღონ.

მეორედაც მოისმა კარების რახუნი. გავიდა როზა და ერთს წამს უკან დაბრუნდა.

— გენერალი გახლავთ, ქალბატონო.

— გენერალი?! გაჯავრებით შეჰყვირა ელენემ და ისე შეჰკრთა, რომ ხელიდგან სამაჯური გაუვარდა. რას ჩამციებია... უთხარი, რომ არა მცალიან!..

— გენერალი ბრძანებს, ქალბატონო, საუზმეზე მინდა გეწვიოთო, მოახსენა როზამ.

— ჰო, ეგღა მაკლია! სასოწარკვეთილებით წამოიძახა ელენემ: მერე ჩემის წასვლის წინა დღეს... ათასი საძმე მაქვს და...

— გენერალი ბრძანებს, ქალბატონო, მინდა გამოვეთხოვოო.

— გამოვეთხოვოო?! განა შეიტყო რამე?! შიშით იკითხა ელენემ.

— მგონია, გენერალს ჟენევიდგან წერილი მიუღია რაღაცა, რომლის მიზეზითაც დღეს სადილს უკან წაბრძანებას აპირებს.

ელენე ცოტა დამშვიდდა.

— სთხოვე, ცოტა მომიცადოს დარბაზში და საუზმეც მოგვართვი... არ მინდა, რომ აქ შემოვიდეს... და შტეინბერგსაც შეატყობინე უთუოდ, რომ ახლა ნუღარ მოვა... ოჰ, საწყალი ჩემი ფრანცი! ნაზად და ჩუმად წაიბუტბუტა ელენემ: დღეს ჯერ არ მინახავს! არა უშავს-რა, მალე სამუდამოდ შევერთდებით!

გენერალი დურანი ელენეს იმ ოთახში უცდიდა, რომელშიაც ხშირად ერთად ლაპარაკობდნენ, მუსაიფობდნენ და დროს ატარებდნენ ხოლმე. დღეს დურანი მეტად ჰშვენოდა თავისის ვაჟკაცურის შეხედულობითა და სახის მხიარულის გამომეტყველებით.

ბევრს ხანს არ უცდია გენერალს და ელენეც შევიდა ოთახში.

— აბა, ახლა არის ჩემი უკანასკნელი ომიო, თავისს გულში იფიქრა გენერალმა.

როცა ელენე ოთახში შევიდა, გენერალს უცებ ფერი ეცვალა, ამ გულმაგარს კაცს, რომელსაც თავისს სიცოცხლეში არაფრისა არა ჰშინებია. ელენე ისე იყო გატაცებული თავისის ფიქრებით, რომ გენერალს ვერა შეამჩნია-რა. გენერალი მიუახლოვდა ელენეს და ნაზად აკოცა ხელზედ.

— უდროოდ გიახელით, მგონია, წარმოსთქვა დურანმა.

— არა, მაგრამ ამ დილას ბრძანება გავეცი, რომ არავინ არ მიეღოთ.

— თითქმის ორი დღეა, რაც პარიჟში გახლავართ და თქვენთან მოლაპარაკება ჯერ ვერ მოვახერხე. მოიტევეთ, რომ შეგაწუხეთ, მალე უნდა გამოგეთხოვოთ.

— დიაღ, როზამ მითხრა, რომ სადღაც წასვლას ეშურებით. ვერ მეტყვით წასვლის მიზეზსა? ნაზად ჰკითხა ელენემ.

— ყველაფერს მოგახსენებთ ჩაის დროს, უპასუხა გენერალმა.

როცა საუზმე მოართვეს, ელენემ მოსამსახურე გაისტუმრა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. პირველად გენერალმა ამოიღო ხმა.

— ასე მგონია, მშვენიერო ელენევ, ნაზად შეჰყურებდა გენერალი: რომ ვითომც ასმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც უკანასკნელად ერთად ვისაუზმეთ... დღევანდელი დღე ჩემთვის დიდად ბედნიერი დღეა!

ელენემ ცოტა გაიღიმა.

— იმედი მაქვს, რომ ბედნიერს დღეებს კიდევ მალე ვნახავ, როცა საყვარელი ჩემი ნათლული ჩვენთან იქნება.

— ლუიზა ნახეთ? გააწყვეტინა სიტყვა ელენემ შეკრთომით.

— დიაღ, ამ დილას გახლდით ლუიზასთან. რა მშვენიერია! წარმოიდგინეთ, ჩემის გრძელის ულვაშებისა არც-კი ეშინიან... ნეტავი უფრო თქვენა გგავდეთ... ბევრჯელ მოგვაგონებს თავისს მამას... უბედური რეველი, რა რიგ ვუყვარდით!

ელენემ თავი ჩაღუნა.

— სასწავლებლიდგან ლუიზას როდის გამოიყვანთო? ჰკითხა გენერალმა. ვითომც ვერ ამჩნევდა ელენეს მღელვარებას.

— ამ დღეებში... მალე... იქნება ამ კვირასაც, უპასუხა დაბნევით ელენე.

— ძალიან კარგი იქნება! თორემ სულ მარტოკა ხართ ამოდენა სახლებში. მგონია, რომ ხშირად მოწყენილი უნდა ყოფილიყავით?

ელენემ ყური მოიყრუა, ვითომც ვერ გაიგო ეს სიტყვა.

— მე... მაინც ჯერ არ ვიცი, ასე უცებ რად მიდიხართ, ჰკითხა სწრაფად ელენემ.

— თქვენი ნახვით ისე ბედნიერი ვარ, რომ სულ დამავიწყდა კიდეც ჩვენი განშორება. დიაღ მე... ჟენევაში მივდივარ... მივდივარ... ქორწილში.

| | მამაკაცი | დედაკ. |
|---|---|---|
| 1) ქართველნი — — | 3886 | 777 |
| მათ შორის; | | |
| ა) მართლ-მადიდებელნი | 2869 | 657 |
| ბ) მაჰმადიანნი — — | 1017 | 120 |
| 2) რუსები— — — | 1446 | 1189 |
| 3) სომეხნი — — — | 2446 | 645 |
| 4) ბერძენნი — — | 1390 | 605 |
| 5) ებრაელნი — — | 447 | 392 |
| სულ | 9615 | 3608 |

აქ არ არის მოთავსებული რიცხვი ჯარის-კაცების სამკურნალოების ავადმყოფებისა და ბათუმში დროებით მცხოვრებლებისა, ეს ნაწილი განიყოფება ამ რიგად:

| | მამ. კ. | დ. კ. |
|---|---|---|
| 1) რუსები — — | 1522 | 4 |
| 2) ქართველნი — | 82 | „ |
| 3) სომეხნი — — | 37 | „ |
| 4) ბერძენნი — — | „ | „ |
| 5) ებრაელნი— — | 23 | „ |

ორივე ნაწილი ერთად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა:

| | ორ. სქეს. |
|---|---|
| ქართველნი— — — | 4,725 |
| ა) მართლ-მადიდებელნი— | 3,574 |
| ბ) მაჰმადიანნი — — | 1,171 |
| რუსები — — — | 4,161 |
| სომხები — — — | 3,128 |
| ბერძენნი — — — | 1,995 |
| ებრაელნი — — — | 862 |
| დანარჩენნი ერთად— — | 3,232 |
| სულ | 18,123 |

როგორც ვხედავთ ამ რიცხვებიდგან, რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს და, რომ გამოვიანგარიშოთ, ისინი 26,07°/₀ შეადგენენ საზოგადო რიცხვისას. ამ ნაირადვე

| | |
|---|---|
| რუსები შეადგენენ — | 22,95°/₀*) |
| სომხები — — | 17,25 |
| ბერძენნი — — | 11,00 |
| ებრაელნი — — | 4,76. |
| სულ | 82,16°/₀ |
| დანარჩენ ერთა მკვიდრნი ერთად — — | 17,84°/₀ |

შემდეგი რიცხვები გვაჩვენებს თუ რა ურთიერთობა არსებობს სხვა-და-სხვა ერის მამაკაცთა და დედაკაცთა შორის (აქ აზრად გვაქვს მხოლოდ სამუდამოდ დასახლებულნი):

| | მამ. კ. | დ. კ. | ასს მამაკ. მოდის: დ. კ. |
|---|---|---|---|
| ებრაელნი — | 447 | 392 | 87,69 |
| რუსები— — | 1446 | 1189 | 82,29 |
| გერმანელნი — | 181 | 102 | 56,35 |
| ბერძენნი— — | 1390 | 605 | 43,52 |
| პოლონელები | 196 | 61 | 31,12 |
| სომხები— — | 2446 | 645 | 26,37 |
| ქართველი მართლ-მადიდებელნი — | 2869 | 657 | 22,89 |
| ქართველი მაჰმადიანნი— — | 1017 | 120 | 11,79 |
| სპარსელნი — | 409 | 23 | 5,62 |

ამ მხრივ ყველაზე კარგს გარემოებაში არიან რუსები, რადგანაც 100 მამაკაცზედ მოდის 82,29 დედაკაცი. ეს გარემოება ადვილად აიხსნება იმითი, რომ რუსებში ადგილობრივ ცოტაა უბრალო მუშა-ხალხი, რომელიც სამუშაოდ დროებით მოდის უცოლ-შვილოდ, გარდა ამისა მეტი ნაწილი რუსობისა ჰმსახურობს სხვა-და-სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, ცოტად თუ ბევრად შეძლებელი ხალხია და ამის გამო უფრო თავისუფლად და ადვილად სახლ-კარდება და ცოლ-შვილდება. უკანასკნელი ადგილი ამ მხრივ უჭირავთ სპარსელებს, სადაც 100 მამაკაცზე 5,62 დედაკაცი მოდის.

ჩამოვთვალოთ ახლა უმთავრესი წოდებანი და ამ წოდების წარმომადგენელთა რიცხვი:

| | ორივე სქესისა, |
|---|---|
| გლეხ-კაცობა — — | 6,795 |
| დაბალი მოქალაქენი (мѣщане) | 4,240 |
| უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი — — | 2,039 |
| აზნაურნი — — — | 1,404 |
| მოქალაქენი— — — | 1,171 |
| ვაჭარნი — — — | 375 |

როგორც ზემოდა ვსთქვით, მკვიდრთა რიცხვი 14,674 სულია ორისავე სქესისა, ამათში წერა-კითხვა იცის:

| მამაკაცმა | დედაკაცმა | სულ |
|---|---|---|
| 6,013 | 1,614 | 7,627. |

არ იცის წერა-კითხვა:

| მამაკაცმა | დედაკაცმა | სულ |
|---|---|---|
| 4,723 | 2,324 | 7,047 |

ამ რიცხვში ნაანგარიშევნი არიან ბავშვებიც, რომელთაც ჯერ შვიდ წლამდე არ მიუღწევიათ. მაშასადამე 52°/₀-მა საერთო რიცხვისამ იცის წერა-კითხვა, დანარჩენი 48°/₀ მოკლებულია წერა-კითხვის ცოდნას.

სხვა-და-სხვა ტომთ შორის წერა-კითხვა ამ გვარად არის გავრცელებული:

ასს სულში წერა-კითხვა იციან:

| | მამ. | დედ. |
|---|---|---|
| რუსთა შორის— — | 62,72 | 43,99 |
| მართლ-მად. ქართვ. | 67,65 | 43,37 |
| სომეხთა — — | 48,73 | 36,74 |
| ბერძენთა — — | 65,32 | 29,59 |
| მაჰმად. ქართველთა— | 22,42 | 13,33 |
| თათართა — — | 28,21 | „ |

ქართველებს აქაც პირველი ადგილი უჭირავთ.

ზემოდ ვსთქვით, რომ გაშენებული დასახლებული ადგილი წარმოადგენს — — 473,500 ოთხკ. ს. ამათში უჭირავს:

| | | |
|---|---|---|
| შენობებსა და ეზოებს | 381,000 | ოთხკ. ს. |
| ქუჩებს და ქუჩის შესახვევებს — — | 85,000 | „ „ |
| მოედნებს — — | 7,500 | „ „ |

საზოგადო რიცხვი ყოველ ნაირ შენობისა 2,336-ია.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ბათუმში 1888 წლიდამ არსებობს თვით-მართველობა. ამომრჩეველნი (625 კაცი) განიყოფებიან სამ ნაწილად. თითოეული განყოფილება ირჩევს 12 კაცს, მაშასადამე ქალაქის საბჭოს შეადგენს 36 კაცი.

პირველის ოთხის წლის განმავლობაში ქალაქის თავად კავკასიის უმთავრესს მთავრობისაგან დანიშნულია ბ. კ. დ. გავრონსკი, ქალაქის მდივნად ი. ს. მესხი.

ეროვნულად აწინდელი ხმოსანნი განიყოფებიან:

| | |
|---|---|
| 1) ქართველი — — — — — | 11 |
| მათ შორის: | |
| ა) მართლ-მადიდ. — — — | 7 |
| ბ) მაჰმადიანნი — — — — | 4 |
| 2) სომეხი — — — — — — | 10 |
| 3) რუსი — — — — — — | 8 |
| 4) ბერძენი — — — — — | 2 |
| 5) პოლონელი — — — — | 2 |
| 6) ებრაელი — — — — — | 2 |
| 7) გერმანელი — — — — — | 1 |

ვისთვისაც საინტერესოა, აქ მოგვყავს სია ქ. ბათუმის სამის წლის შემოსავალ-გასავალისა:

შემოსავალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1889 წ. | 145,453 მან. | 21 | კაპ. |
| 1890 „ | 192,882 „ | 56 | „ |
| 1891 „ | 248,701 „ | 40 | „ |

გასავალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1889 წ. | 145,453 მან. | 21 | კაპ. |
| 1890 „ | 214,465 „ | 05 | „ |
| 1891 „ | 273,335 „ | 31 | „ |

უმთავრესი შემოსავალი ქალაქისა ის არის, რომ ქალაქს ყოველს საქონელზედ, რომელიც-კი ნავთ-სადგურში გაივლის და ფუთის კვალობაზედ გარდაიხდის გარდასახადს, ერთი მეხუთედი ამ გარდასახადისა ეკუთვნის. უმთავრესი გარდასახადი ხვდება, რასაკვირველია, ნავთს. წრეულს მარტო ამ წყაროდან შემოსასვლელი ფული 75,000 მან. მეტია. სხვა საქონელზედ დანიშნული შემოსავალიც რომ ვიანგარიშოთ, მაშინ ეს წყარო მისცემს წრეულს ბათუმის ქალაქის თვით-მართველობას 120,000 მანეთს, სამწუხაროდ ამ წყაროდან შემოსულ ფულის დახარჯვის უფლება მეტად განსაზღვრულია მთავრობის მიერ, ასე რომ თვით-მართველობა ვერ მოანდომებს ამ ფულს იმ საგანს, რომელსაც იგი დაინახავს სასარგებლოდ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმისათვის ნავთის ვაჭრობასა და წარმოებას, ამას შემდეგი ცნობები აშკარადა ჰხდის:

1890 წელს ბათუმს გაუგზავნია რუსეთს და სამზღვარ გარედ, უმთავრესად-კი ინგლისს, ოსმალეთსა და ავსტრიაში, 44,185,512 ფუთი ნავთი. ახლა აიღეთ კიდევ სხვა-და-სხვა საქონელი, გარდა ნავთისა, რომელიც იგზავნება, ან მოდის ამიერ-კავკასიაში, და მაშინ საკვირველი აღარ იქნება, რომ ბათუმი იზრდება და მატულობს არამც თუ წლობით და თთვეობით, არამედ დღე-დღეობით. დიაღ, ბათუმს ამ ცოტა ხანში დიდი და სახარბიელო მერმისი მოელის. რაც ჩვენ ამ წერილში მოვიხსენიეთ, მკითხველი დაწვრილებით ჰნახავს ბათუმის ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემულს წიგნში „ბათუმი ერთს დღის აღწერით“ 17 ივნ. 1890 წ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 222 გვერდს და ღირს 1 მ. გაგზავნით. წიგნის ბოლოში მოთავსებულია ბათუმის გეგმა.

ვანო ემ—ი

# წვრილი ამბავი

ისპანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისამებრ მთელს ისპანიაში აკრძალეს მოთხრობანი ემილ ზოლასი, მეზრუასი, მეტენიესი და კიდევ ზოგიერთ სხვა ფრანგ მწერლებისა.

— ერთი ფრანგული გაზეთი იუწყება, იდუმალმა მეგობარმა გამბეტასამ ქ-ნმა ლეონმა წერილით მიჰმართა კაგორის მერს და გამოუცხადა, ამდენსა და ამდენს ფულსა გწირავ და მსურს, რომ იმის სარგებლით საუკუნოდ ყვავილებით შემკული იყოს გამბეტას საგვარეულო აკლდამა, რადგან იმედი მაქვს, თვით გამბეტას გვამსაც იქ გადმოასვენებენო.

— გაზეთმა „Tourist“-მა გამოიანგარიშა, თუ ქალმა მეჯლისის დროს ყოველ ნაირად იცეკვა, რა ცეკვაც-კი ამ ჟამად შემოღებულია, თამამობით 80 ვერსის მანძილი უნდა გაიაროს და ისიც მომეტებულ ნაწილად თითის წვერზედ და კარსეტ-მოჭერილმაო. თუ ამოდენისავე მანძილის გავლა გაუსხენეთ სხვა დროს პირდაპირის მოგზაურობით, თუნდაც ძლიერ სუბუქადაც იყოს ჩაცმული და მთელი 14 საათიც დაუნიშნოთ სამგზავროდ, მაშინ-კი საშინლად გაოცდება და უარ-ჰყოფს: ეგ საქმე ჩემთვის ყოვლად შეუძლებელიაო.

— ამას წინად ჩინეთში მომხდარ არეულობისა და ჩინელების მიერ ქრისტიან მისიონერთა სადგომის მოსრის შესახებ ერთი გაზეთი სწერს, რომ ის ამბავი სულ ჩინელ ლიტერატორების წაქეზებით მოხდა, რომელთაც საშინლადა სძულთ და ეჯავრებათ „ქერა ბარბაროსები“-ო. ამ ლიტერატორების აზრით, „ჩინეთი მხოლოდ ჩინელთათვისაა“ და ყველას ამას უქადაგებენ. წინად არეულობა თუ უწესოება მხოლოდ აქა-იქ და კანტი-კუნტად მოხდებოდა ხოლმე, მაგრამ ეხლა-კი გავრცელდა და ერთბაშად დიდს მანძილს მოედო. თავი მეამბოხენი საიდუმლო საზოგადოებანი არიან, რომელნიც ჯერაც ვერ დაუწუნარებიათ, თუმცა ჩინეთის მთავრობა ძლიერა სდევნის. ეს საზოგადოებანი წვრთნიან ხალხსა და გულში უნერგავენ სიძულვილს უცხოელთადმი. ამავე საიდუმლო საზოგადოებათ ადრევ ტაიპინგშიც მოახდინეს არეულობა და კინაღამ არ მოსპეს აწინდელი ჩინელების მეფეთა დინასტია. ეს საზოგადოებანი უფრო მდინარე იან-ცეკიანგის მხარეში არიან აღორ-

---

*) აქ ჯარიც ნაანგარიშევია.

---

— განა ცოლს ირთავთო? უნებლიედ იკითხა სიხარულით ელენემ.

ეს სიტყვა გენერალს არ მოეწონა და წარბი შეიკრა.

— მე... არა, ჯვარს ერთი ჩემი მეგობარი იწერს. უბიდამ საათი ამოიღო და დაჰხედა: ეჰე! მე ვხედავ, რომ დრო კიდევა მაქვს, მოვასწრებ, იმისი ამბავიც გიამბოთ. ეს—მთელი რომანია.

ელენე უკმაყოფილების ნიშნად შეიძრა სკამზედ, მაგრამ გენერალმა განგებ თვალი აარიდა.

— ზოგიერთი ისეთი კაცია, მშვენიერო ელენევ, რომ იმისი ცხოვრება მრავალფერი მსხვერპლია. სრულს ბედნიერებას იმათ ღმერთი არ აძლევს, იმათ მხოლოდ თავისის მახლობლის გაბედნიერება სურთ. ჩემი მეგობარი, რომელთანაც ეხლა მივდივარ, სწორედ ამ გვარი კაცია. იმას გაგიჟებით უყვარდა ერთი ქალი, რომელიც იმის ამხანაგსაც-კი უყვარდა. თავისი სიყვარულის დამალვა მეტად ამძიმებდა, მაგრამ მაინც ვერავინ მიუხვდა და ამიტომაც ამხანაგის ჯვარის-წერაზედ უნდა დასწრებოდა. რამდენიმე წლიწადი ზედი-ზედ ჩემი მეგობარი თავისის ამხანაგის ბედნიერ ცოლქმრობის მოწმე იყო, მუდამ ჟამს უნდა ენახა ხოლმე ის ქალი, რომლის სიყვარულის გულისათვის მთელს თავისს სიცოცხლესა და ბედ-იღბალს შესწირავდა, ამასთანავე მტკიცე მეგობრობაც უნდა გაეწია ქალის ქმრისათვის. ჭეშმარიტი მეგობრობა და შთამომავლობით შთანერგილი სიკეთე ნებას არ აძლევდა ჩემს მეგობარს, რომ თავისი გრძნობა გამოეცხადებინა როგორმე, ასე რომ იმ ქალს ერთხელაც არ გაუგონია, გუმანიც-კი არ აუღია, როგორ უყვარდა სხვას.

ეს უკანასკნელი სიტყვები ისე მკაფიოდ წარმოსთქვა გენერალმა, რომ ელენე შეჰკრთა.

— თქვენ-კი გგონიათ, ვითომ იმ ქალმა იცოდა, რომ სხვას უყვარდა?

— ოჰ, ქალები ჩინებულად ჰმალავენ თავისს გრძნობას, უპასუხა გენერალმა.

— და თუ არას გრძნობენ? უგემურად უპასუხა ელენემ.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალი ყოველთვის შეამჩნევს ხოლმე, თუ რა გავლენა აქვს თავისის სილამაზით სხვაზედ.

— დარწმუნებულნი-კი ხართ? ვითომც გაკვირვებით იკითხა ელენემ.

— არა თუ დარწმუნებული ვარ, ისიც-კი ვიცი, რომ საზოგადოდ ამ გვარი ქცევა ქალებს მეტად მოსწონთ და რაც უნდა მორცხვი ქალი იყოს, ისიც-კი ცდილობს ამ გვარის მოქმედების გაზვიადებას, მაგრამ, მწუხარებით დაუმატა გენერალმა: ქალს თუ უყვარს ვინმე, ეს, რასაკვირველია, დიდი ბედნიერებაა და დანაშაულობად არ ჩაეთვლება თუნდა ცბიერობდეს კიდეცა... ეს ყველა კარგი, მაგრამ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ, თორემ დრო მიდის. იმ ქალს, რომელიც ჩემს მეგობარს უყვარდა, მე ლუიზას დავარქმევ: მალე დაქვრივდა; როცა იმისი ქმარი კვდებოდა, თავისი ცოლი და პატარა ბავშვი ჩემს მეგობარს ჩააბარა. ლუიზამ პარიჟიდგან წასვლა მოინდომა: იმისი დედ-მამა ჟენევაშა სცხოვრობდნენ და იმათთან ერთად უნდა ეცხოვრნა. იქ, ტბის ყურეს, ორი ჩინებული სახლი იდგა, რომელიც გაყოფილი იყო დიდის ბაღით. ამ ბაღიდგან თაყვანსა სცემდა ჩემი მეგობარი თავისს სატრფო ლუიზას. სრული ბედნიერი იყო. მას შემდეგ, რაც ლუიზა დაქვრივდა, ჩემი მეგობარი ტკბილის იმედებით იყო აღსავსე; ახლა მარტო ისა ჰხედავდა ლუიზას; ლუიზას და იმის შუა არავინ იყო ჩამდგარი. იმასლა ემსახურებოდა, იმაზედ ჰზრუნავდა და უყვარდა. ეს დიდ ბედნიერებადაც მიაჩნდა... მოლოდინში იყო.... ადამიანი ხომ თავისს სიცოცხლეში სულ მოლოდინშია!

— მართალიაო! შენიშნა ელენემ და ნაცრის ქექა დაიწყო ბუხარში, რომელიც სამი თთვე არც-კი ანთებულიყო.

— რამდენისამე წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა: ლუიზას ბავშვი წამოიზარდა და ჰენრიხმა, ესა ჰქვიან ჩემს მეგობარს, დედას რჩევა მისცა, რომ ბავშვი ჟენევისს უკეთესს სასწავლებელში მიებარებინა. სხვისი გული შავი ტყეა! ვინ იცის, იქნება ჰენრიხს იმედი ჰქონდა, რომ, როცა ლუიზა მარტოდ, უშვილოდ დარჩებოდა, თავისს ერთგულს მეგობარს მოიგონებდა. მაგრამ ლუიზას მიუკარებლობამ და გულცივობამ ჰენრიხს ტკბილი იმედი დაუფანტა. ვითომც ცოტა ერთმანერთს დაშორდნენ კიდეც და მეგობრობაც ამძიმებდათ. ძველებური ნდობა გაჰქრა, საღამ-საღამოობით სასიამოვნო მუსაიფიც მოესპოთ.... საწყალი ჰენრიხი მაშინ მიჰხვდა თავისს უბედურებას; ლუიზას სიყვარულის გამოცხადებისა ეშინოდა... გამბედავი კაცი ეცდებოდა როგორმე და გამოაშკარავებდა თავისს სიყვარულს, მაგრამ... ნამდვილი სიყვარული ჩჩვილია... იმ ქალს უარი რომ ეთქვა, რომელზედაც მთელს თავისს სიცოცხლესა ჰფიქრობდა, ჩემს მეგობარს უკანასვნელი იმედი და ბედნიერება დაეკარგებოდა... ველარ ჰნახავდა... და აბა იმისს უხილველად როგორ გასძლებდა...

ელენეს ფერი ეცვალა.

— მერე, რა დაემართა თქვენს მეგობას, ჰკითხა ელენემ.

(დასასრული იქნება)

მინებულნი და ამიტომაც სწორედ ამ ადლებში იყო ესლანდელის არეულობის დროს დიდი სისხლის ღვრა და ევროპიელთა დევნა. ხალხი ეწინააღმდეგებოდა საზოგადოდ უცხოელებს, მაგრამ მომეტებულად-კი მისიონერებს. აქედგან ზოგს ის აზრიც გამოჰყავს, რომ ჩინელებს, ისე ევროპიელების დევნა არ ედოთ გულში არეულობის დროს, როგორც აწინდელის დინასტიის მოსპობა და აღდგენა ძველის მინგების გვარეულობის დინასტიისა, რომლის სატახტო ქალაქადაც ნანკინი იყოვო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად, გთხოვთ მიიღოთ შრომა და გადასცეთ ეს ჩემ მიერ დედოფლის წყაროში შეკრეფილი 16 მან. იმათ, რომელთაც იკისრეს გადმოსვენება ჩვენის ნეტარ-ხსენებულის პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამისა ქ. განჯიდგან ტფილისში, ან გადმოსვენებაზე დასახარჯად და ან ძეგლის დასადგმელად. აი სია შემომწირველთა.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თავ. დ. ი. ვახნაძე | 1 | „ |
| თავ. მ. ს. ჭავჭავაძე | 1 | „ |
| კნ. ს. ა. ჭავჭავაძე | 1 | „ |
| მათივე შვილები: სპირიდონ | „ | 50 |
| და კნიაჟ. ელენე | „ | 50 |
| თავ. ირ. ს. ჭავჭავაძე | 2 | „ |
| მიხ. ზ. საგინაშვილი | 1 | „ |
| თავ. შ. რ. ერისთავი | 1 | „ |
| დ. კ. მამაცაშვილი | 2 | „ |
| თავ. რ. გ. მაყაშვილი | 1 | „ |
| თავ. აბაშიძე | 1 | „ |
| ზ. გ. ნათიშვილი | 1 | „ |
| დ. ი. გაბაშვილი | 1 | „ |
| ალექსი გვარდია | 1 | „ |
| თომა და კოტე ინანაშვილები | 1 | „ |
| სულ | 16 | „ |

თავ. ირაკლი ჭავჭავაძე

# დეპეშა

10 ივლისს

**პეტერბურგი.** პეტერბურგის საბჭომ დაადგინა, საფრანგეთის ესკადრის დასახვედრად 15,000 მანეთი გადავდოთო. მეჯლისი საბჭოში 17 ივლისს იქნება. თითოეულს გემს უთავაზებენ თითო ვერცხლის სურას წარწერით: „კეთილ-სახსოვრად“. პეტერგოფში 22 ივლისს ყველას, ადმირალიდგან დაწყებული მესაჭეებამდე, ას-ასს პაპიროსს უთავაზებენ პეტერბურგის სურათებიანს მშვენიერს კოლოფებით.

საბჭომ გარდასწყვიტა, გამგეობას 300,000 მანეთის სესხის ნება მივცეთ, რომ პურის თადარიგი დაიჭიროს და იაფად ჰყიდოსო.

**ტამბოვი.** შეწირულებათა შესაკრებად ფულად, სანოვაგედ და გლეხთათვის სხვა საჭირო ნივთებით ბარონესსა რაკასოვსკიას თავმჯდომარეობით დაარსდა კომიტეტი ტამბოვის გუბერნიის გაჭირვებულ მცხოვრებთა შემწეობისათვის; განყოფილებანი კომიტეტისა მაზრებშიაცაა — თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და საერობო უფროსებისას.

## პეტერბურგის ბირჟა, 9 ივლისი

| | მიიღებენ. | გამყიდველნი. | გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7, 30 | 7, 35 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $146^1/_2$ | $147^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 04 | 1, 06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 229 |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი | $212^1/_4$ | — ,, | $210^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე დამისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძენი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. | 10 | „ |



### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | | 6 თთვით | 6 მ. — კ. | |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 25,, | |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | 4 ,, | 4 ,, 70,, | |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. | „ | 5 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I. | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| „სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა. | „ | 40 |
| ანდერძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ. | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა | „ | 15 |
| „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა | „ | 60 |
| „დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| „თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა | 1 | „ |
| „Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა | 3 | „ |
| „არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა | „ | 75 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემფელისა, თარგ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით. | „ | 80 |
| იგივე უყდო | „ | 60 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით. | „ | 70 |
| „შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. | „ | 20 |
| „ძვლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| „ივანამ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა. | „ | 10 |
| „კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა | „ | 20 |
| „ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| ჟანნა-დარკ | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიჰმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.


Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე